უზენაესი სასამართლოს 2015 წლის მუშაობის ანგარიში

მოკლე მიმოხილვა

პალატების მიერ განხილული საქმეების სტატისტიკა

განყოფილებების მიერ განხორციელებული სამუშაოები

პალატებში შემოსული საქმეების, საჩივრებისა და განცხადებების რაოდენობა



✪ 2015 წლის 11 თვეში სულ შემოსულია 524 საქმით , ანუ 20%-ით მეტი, ვიდრე 2014 წლის 11 თვეში

შემოსული საქმეების სტრუქტურა



2015 წელს პალატებში განსახილველი საქმეების, საჩივრებისა და განცხადებების რაოდენობა



✪2015 წლის 11 თვეში სულ განსახილველი იყო 1133 საქმით , ანუ 33,9%-ით მეტი, ვიდრე 2014 წლის 11 თვეში

პალატების მიერ განხილული საქმეების,საჩივრებისა და განცხადებების რაოდენობა



✪2015 წლის 11 თვეში განხილულ იქნა 192 საქმით , ანუ 7%-ით მეტი, ვიდრე 2014 წლის 11 თვეში

წარმოებაში არსებული საქმეების რაოდენობა საშუალოდ ერთ მოსამართლეზე (2015 წლის 11 თვის ბოლოს)



2015 წელს საკასაციო საჩივრების განხილვის საშუალო ვადები (თვე)



თავმჯდომარის ბიურო

შემოსულია 2465 მომართვა, განცხადება, საჩივარი , მოთხოვნა და განაცხადი

ძირითად ნაწილზე გაეცა პასუხი, ან გადაეცა უზენაესი სასამართლოს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს.

შედგა 8 შეხვედრა თავმჯდომარის ბიუროსა და მოქალაქეებს შორის მათივე მოთხოვნის საფუძველზე.

თავმჯდომარის ბიურო

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე შემოსულია 619 განცხადება, მათ შორის 134 პროაქტიული კორესპონდენცია და 202 საერთაშორისო კორესპონდენცია

მენეჯერის სახელზე შემოსულია 184 განცხადება.

თავმჯდომარის ხელმოწერით გაგზავნილია 125 წერილი, მენეჯერის ხელმოწერით - 48 წერილი.

თავმჯდომარის ბიურო

ყოველდღიურად კეთდება პრესის მონიტორინგი, რომელიც მოიცავს სასამართლოსა და ზოგადად, მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული სტატიების ანალიზს.

ხორციელდება ინტერნეტ გამოცემების მონიტორინგი და სასამართლოსთან დაკავშირებული ინფორმაციების მოძიება, დამუშავება და დაარქივება.

სატელევიზიო სიუჟეტების მონიტორინგი და დაარქივება.

ღონისძიებების შესახებ რელიზების გავრცელება და ყოველდღიური კომუნიკაცია ჟურნალისტებთან.

თავმჯდომარის ბიურო

ჩატარდა სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს 13 სხდომა, მათ შორის:

სისხლის სამართლის მიმართულებით : 10 სხდომა 16 საკითხზე

სამოქალაქო სამართლის მიმართულებით : 2 სხდომა

ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით : 1 სხდომა

თავმჯდომარის ბიურო

საქართველოს უზენაეს სასამართლოსა და საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) მიერ განხორციელდა 9 ღონისძიება:

<u>მათ შორის ჩატარდა 5 შეხვედრა, ასევე ჟურნალის პრეზენტაცია, კონფერენცია, სემინარი და ტრენინგი</u>

მოქალაქეთა მისაღებში დარეგისტირებული დოკუმენტების რაოდენობა

2015 წლის 11 თვეში სულ დარეგისტრირებული 11833 დოკუმენტიდან:



- პალატებში
- თავმჯდომარის სახელზე
- მენეჯერის სახელზე
- განყოფილებებში
- სხვა

მოქალაქეთა მისაღებში ელექტრონულად აღრიცხული დოკუმენტების რაოდენობა



სასამართლო საქმეთა გაცნობის ოთახში საქმეს გაეცნო 124 მოქალაქე, კონსულტაცია გაეწია მისაღებში გამოცხადებულ 960 მოქალაქეს.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილება

მომზადდა და დაიბეჭდა უზენაესი სასამართლოს ,,გადაწყვეტილებანი“
სამოქალაქო საქმეებზე 12 ჟურნალი,
ადმინისტრაციულ საქმეებზე 13 ჟურნალი,
სისხლის სამართლის საქმეებზე 3 ჟურნალი

↓

დაიბეჭდა და ცალკე წიგნად გამოიცა უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებანი

↓

დაკაბადონდა და ცალკე გამოიცა ასევე 4 წიგნი და ბროშურა სხვადასხვა საკითხებზე

სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილება

შესწავლილი და განზოგადებულ იქნა საკითხები:
დაზღვევის პრობლემებთან დაკავშირებით,
სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებით,
სუროგაციის პრობლემეთნ დაკავშირებით,
სამართალდარღვევები გარემოს დაცვასთან დაკავშირებით,
რელიგიურ საკითხებზე სასამართლო დავები და სხვა.

მომზადდა მასალები სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს 3 სემინარისათვის და ჩატარდა 2 სემინარი კერძო სამართლის საკითხებზე

ანალიტიკური განყოფილება

ანალიტიკური განყოფილება აერთიანებს:
ანალიზისა და კვლევის სექტორს, სტატისტიკის სექტორს
ადამიანის უფლებათა ცენტრს

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ ითარგმნა და და უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე განთავსდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები 24 მნიშვნელოვან საკითხზე, ასევე სხვადასხვა მუხლების შესახებ ითაგმნა 62 საქმე, ბავშვთა უფლებების თაობაზე - 38 საქმე, ამას გარდა ნათარგმნია და საიტზე განსათავსებლად მზადდება კიდევ 243 საქმე.

ანალიტიკური განყოფილება

ანალიზისა და კვლევის სექტორში მომზადდა და უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე განთავსდა 11 კვლევა სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე,

ანალიტიკური განყოფილების მიერ გამოსაცემად მომზადდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის საქმეებიდან მნიშვნელოვანი განმარტებები (134 საქმე), გამოიცა კვლევა ,,სუროგაცია და სამართლებრივი პრობლემები“, ითარგმნა და გამოსაცემედ მზადდება ადამიანის უფლებათა სასამართლოს ყოველწლიური ბიულეტენი, რომელშიც თავმოყრილია 2014 წელს განხილული საქმეები (100 საქმე).

ანალიტიკური განყოფილება

თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანალიზისა და კვლევის სექტორი საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის გასცემს კონკრეტულ სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებულ სამართლებრივ დასკვნებს. მათი უმეტესობა შეეხება ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ან შესაბამისი მასალის მოძიებას, ქართულ ენაზე თარგმნას და მასალის დამუშავებას; ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებების ანალიზს.

განყოფილების მიერ მოძიებული და საიტზე დამატებული იქნა 20-ზე მეტი საერთაშორისო ხელშეკრულება ქართულ და ინგლისურ ენებზე

ანალიტიკური განყოფილება

სტატისტიკის სექტორი იღებს და ამუშავებს საერთო სასამართლოებში შემოსული და განხილული საქმეების ყოველდღიურ, ყოველთვიურ, კვარტალურ და წლიურ ანგარიშებს

ყოველთვიურად მიღებული და დამუშავებული მონაცემების საფუძველზე მზადდება საქართველოს საერთო სასამართლოების ძირითადი სტატისტიკური მონაცემების შესახებ ინფორმაცია, რომლის განთავსებაც სისტემატურად ხდება უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე

ანალიტიკური განყოფილება

ყოველთვიურად, ერთობლივი მემორანდუმის საფუძველზე საიტზე განსათავსებლად, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს ეგზავნება ინფორმაცია სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ეროვნული ანგარიშისათვის.

სტატისტიკის სექტორის თანამშრომლებმა მონაწილობა მიიღეს პირველი ინსტანციის მოსამართლეებისათვის არსებითი განხილვის დროს პატიმრობის 2-თვიანი ვადის გადამოწმების შეხსენების პროგრამის შექმნაში, ტესტირებასა და დანერგვაში. ტრენინგები ჩაუტარდათ აპარატის უფროსებს,მოსამართლეთა თანაშემწეებსა და ქსელის ადმინისტრატორებს. პარალელურად იქმნება აღნიშნული პროგრამიდან ინფორმაციის მისაღებად სტატისტიკური ფორმები.

ანალიტიკური განყოფილება

ანალიტიკური განყოფილება აქტიურად არის ჩართული უზენაეს სასამართლოში განხორციელებულ სხვადასხვა ღონისძიებებში, ასევე მონაწილეობს საერთაშორისო ექსპერტებთან, დელეგაციებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან გამართულ შეხვედრებში, კონფერენციებსა და პრეზენტაციებში.

კანონის მოთხოვნის შესაბამისად განხორციელდა ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრის მონაცემების გამოქვეყნება ვებ-გვერდზე

უზენაესი სასამართლო არის,,ღია მმართველობა საქართველოს“ ფორუმის წევრი. დროულად და სრულად შესრულდა OGP-ის ფარგლებში აღებული ვალდებულება და ყოველკვარტალურად ქვეყნდება მონაცემები სატელეფონო საუბრების ფარულ მოსმენებზე.

ინფორმატიზაციის განყოფილება

განხორციელდა უზენაესი სასამართლოს სერვერების რეკონფიგურირება-განახლება (არსებული მეხსიერების გაზრდა) და მთლიანი მონაცემთა ბაზების „ ბეკაპირება“

უზენაესი სასამართლოს ინფორმატიზაციის განყოფილების თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართული მართლმსაჯულების რეფორმის მე-3 ეტაპთან დაკავშირებულ პროექტში, რომელიც ეხება საერთო სასამართლოებში საქმეთა ელექტრონული და შემთხვევითი განაწილების პროექტის პროგრამულ უზრუნველყოფას.

ინფორმატიზაციის განყოფილება

შეიქმნა და პირველი ინსტანციის სასამართლოებში წარმატებულად დაინერგა პროგრამა პატიმრობის პროგრამასთან დაკავშირებით, ყოველდღიურ რეჟიმში ხდება ბაზების სისწორის შემოწმება და თანაშემწეებთან კომუნიკაცია. პარალელურად იქმნება სტატისტიკური ფორმები პროგრამიდან ინფორმაციის მისაღებად

განყოფილების თანამშრომლები სისტემატიურად მონაწილეობენ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კომპანიების წარმომადგენლებთან შეხვედრებში, რომლებიც ეხება დოკუმენტის ელექტრონულ პროგრამებს, სასამართლო ადმინისტრირებასა და მენეჯმენტს.

ინფორმატიზაციის განყოფილება

„საერთაშორისო გამჭირვალობასთან“ ერთად შეიქმნა და სრულად ამოქმედდა ონლაინ პროექტი „მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათ საძიებო სისტემა“, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი მომხმარებლისათვის

ყოველდღიურად ხორციელდება კომპიუტერული ქსელისა და სერვერების მონიტორინგი და „ბეკაპირება“.

ოპერატიულად ხდება უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე ინფორმაციის განახლება და დამატება. მიმდინარეობს მუშაობა ვებ-გვერდის ახალი ინტერფეისის შექმნაზე

2015 წლის 11 თვის ბიუჯეტის შესრულება

	გეგმა	გადახდა	შესრულება %-ში
ჯამური	**6 615 000,00**	**5 713 905,35**	**86,38**
შრომის ანაზღაურება	**4 790 000,00**	**4 277 684,93**	**89,3**
საქონელი და მომსახურება	**1 449 095,00**	**1 269 673,27**	**87,62**
სოციალური უზრუნველყოფა	**60 000,00**	**40 825,00**	**68,04**
სხვა ხარჯები	**80 000,00**	**37 156,23**	**46,45**
არაფინანსური აქტივების ზრდა	**235 000,00**	**88 248,20**	**37,55**
ვალდებულებების კლება	**905**	**317,72**	**35,11**

ანგარიში ინფორმაციის თავისუფლების შესახებ

2015 წელს გაცემულია 576 საჯარო ინფორმაცია, მათ შორის



24 უარის თქმიდან 17 შემთხვევაში მონაცემები არ აღირიცხებოდა ანგარიშგების ფორმებში, 4 შემთხვევაში არ იყო სასამართლოს კომპეტენცია, 3 შემთხვევაში უარი ეთქვა კანონის საფუძველზე. გადაწყვეტილება უარის თქმის თაობაზე არ გასაჩივრებულა.